საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/155

ქ. ბათუმი 08 დეკემბერი, 2022 წ.

,,ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე "ქართული ენა უცხოელთათვის" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 18 ნოემბრის №01-10/144 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ამავე ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2022 წლის 12 მაისის №20-19/03 სხდომის ოქმის, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 01 ნოემბრის №01-02/260 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე "ქართული ენა უცხოელთათვის" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 18 ნოემბრის №01-10/144 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები,** კერძოდ:

ა) ბრძანების მე-2 პუნქტში აღნიშნული ბრძანების N1 დანართი (ხარჯათაღრიცხვა ჯგუფში 9 მსმენელზე) ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი;

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. პროგრამის „ქართული ენა უცხოელთათვის“ პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯგუფში **9-12 მსმენელზე გაანგარიშებით,** განისაზღვროს:

3.1.. პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალის 1 (ერთი) შრომის საათის ღირებულება განისაზღვროს 23 ლარით;

3.2. დამხმარე პერსონალის (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოსამზადებელი მიმართულების კოორდინატორი) 1 (ერთი) საათის შრომის ღირებულება - 20 ლარით;
3.3. დამხმარე პერსონალი (ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით - ასისტენტი სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით) 1(ერთი) საათის შრომის ღირებულება - 20 ლარით."

2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქართული ენა უცხოელთათვის" 8 მსმენელზე მეტი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, მსმენელთა შესაბამის ოდენობაზე გათვლილი პროგრამის ხარჯთაღრიცხვის პროექტის შესათანხმებლად წარმოდგენა.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მ. დიასამიძე**